# ცნობის ფურცელი

V წ. — ყოველ-დღიური გამოცემა. — ოთხშაბათი, 11 ოქტომბერი 1900 წ. — № 1264

**გაზეთი ღირს:** წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღით).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе".
**ტელეფონი № 372.**

ელექტრონით
მოწყობილი
**მსწრაფლად მბეჭდავი**
**სტამბა**
წიგნების გამომცემელ
ქართველთა ამხანაგობისა
იღებს ყოველგვარ
**სასტამბო საქმეებს**
სტამბა იმყოფება ვანქის დიდ
ქუჩ. მარტიროსოვის სახლში.

**ტფილისის კერძო**
**სამკურნალო**
**მკურნალის**
**მიხეილ გედევანიშვილისა.**
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

**დილით:**

გ. ი. **შიშინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. **მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. ფ. **ახალშენიშვილი** — კბილის სნეულებანი —10—2 საათამდე.

ა. ნ. **შატილოვი**—თვალის 11—12 საათამდე.

დ. ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

მ. გ. **ბეზირგანოვი**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათამდე

ვ. ლ. **მარკევიჩი** — სდოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. **ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**სადამოთი:**

ი. ნ. **თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. **ბელოგოლოვი** — შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი
(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი.

ქართული თეატრი
**ხუთშაბათს, 12 ოქტომბერს,**
ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ლექსად თარგმნილი განდეგილის მიერ
**ვაი ჭკუისაგან**
კომედია 4 მოქმ. ა. ს. გრიბოედოვისა.

მონაწილეობენ: ქალბატონნი გაბუნია ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, გარელი, ალხაზიშვილი და სხ. ბატონნი: აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, აყალიანი, ყრუშაძე, მირიანოვი და სხ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. რეჟისორი **ვ. გუნია.** მზადდება წარმოსადგენად „იანიჩარი" ისტ. დრ., „დეხიზა", დრ. ალ. დიუმასი და სხვა. (3—1)

დაიბეჭდა და იყიდება წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობის კიოსკში ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან — **ივ. ვაზოვისა.**
**დამონებულნი**
თარგმ. თ. სახოკიას მიერ. გამოცემ. სტ. ნარაკიძისა.—ფასი 1 მან.—ვინც იყიდის არანაკლებ 5 ცალის წიგნი დაეთმობა 80 კაპ.

**წარსული წლების**
**მოამბე**
გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად, 1896, 1897 და 1898 წწ. ხუთ-ხუთ მანეთად, ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.
ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპეიკი უნდა გამოგზავნონ. ჟურნალ
**მოამბის**
ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе".

## ახალი ამბავი

✦ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. **გოლიცინი** 9 ოქტომბერს, სადამოს, წავიდა ამიერ-კავკასიის რკინის გზით ყარსში. („კავკაზ")

✦ ამ ჟამად განთავისუფლდა **ორი სტიპენდია** აბესალომოვის სახელობაზედ დაარსებული: ერთი —ტფ. მეორე სავაჟო გიმნაზიაში (რუსებისათვის) და მეორე—ტფ. პირველ საქალებო გიმნაზიაში (ქართველთათვის). მალე ტფილისის საქალაქო გამგეობაში მოხდება კენჭის ყრა კანდიდატთა შორის სტიპენდიების განაწილებისათვის.

✦ გარდაცვალებულის ი. ა. ამიროვის მემკვიდრეებმა შეიტანეს ქალაქის კასაში 20.600 მანეთის სარგებლიანი ქაღალდები და 69 მან. 50 კ. ფულად. გარდაცვალებულის ანდერძის თანახმად, ამ თანხის პროცენტებით უნდა დაარსდეს **ორი სტიპენდია** მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის. ხოლო როდესაც უნივერსიტეტი გაიხსნება კავკასიაში, ეს სტიპენდიებიც აქ უნდა იქმნას გადმოტანილი.

✦ სამშაბათს, 3-ს ოქტომბერს, ქალაქ თელავში თელავის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თავ. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით კრება ჰქონიათ თელავის მაზრის თავად-აზნაურთა იმის შესახებ, თუ რა უყონ იმ ფულებს, რომელიც უმაღლესის ბრძანებით დამფუძნებელთ უბრუნდებათ უკანავე სათავად-აზნაურო ბანკიდან. კრებას სიღნაღის მაზრის დამფუძნებელ წევრებთან შეთანხმებით ერთ-ხმად დაუდგენიათ: შეერთდნენ თელავის და სიღნაღის მაზრის ბანკის დამფუძნებელნი წევრნი, გამოიტანონ ბანკიდან საწევრო ფული და ეს ფული თელავისა და სიღნაღის თავად-აზნაურთა სრულს განკარგულებაში იყოს, ასე რომ შეეძლოთ ამ ფულით ორივე მაზრისათვის რაიმე საზოგადო სასარგებლო დაწესებულების შექმნა („ივერია").

✦ კვირას, 8 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობის სადგომში მესამედ იყო დანიშნული მეორე საწყლო ოლქის მაზრის არჩევნები. მოვიდა კრებაზე 9 მემამულე, მაგრამ არჩევნები ისევ გადიდვა, რადგანაც რამდენიმე მემამულემ პროტესტი განაცხადეს იმის შესახებ, რომ არჩევნების შესახებ გაზეთში განცხადება არ იყო დაბეჭდილი.

✦ უკანასკნელ სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, რომ ამ ჟამად ტფილისის ყველა **საქალაქო შიგად დაწყებით სასწავლებლებში** ირიცხება 1788 მოსწავლე ორივე სქესისა; მათგან —688 რუსია, 603 სომეხი, 467 ქართველი და 30 სხვა ეროვნებათა.

✦ ტფილისის გამგეობის სადგომში უკვე მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა, მოსან-ტეხნიკოსთა და მოწვეულ ექსპერტთა განსახილველად ტრამვაის საზოგადოებისაგან წარმოდგენილის **ელექტრონულ ტრამვაის** პროექტისა. ამ პროექტის განხილვამ აღმოაჩინა, სხვათა შორის, რომ უსახელო საზოგადოებას არ აღუნიშნავს სრულიად დიდუბის გზა; ამიტომ სხდომაზე დადგინდა წინადადება მიეცეს ბ-ნ რობის იმის შესახებ, რომ საზოგადოებამ წარმოადგინოს ორის კვირის განმაელობაში დიდუბის ტრამვაის გეგმაც. შემდეგ სხდომაზე არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა პროექტის დაწვრილებითი განხილვა. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ინჟენერები ენფიანჯიანცი, რაგოლერი და მუხარინსკი. კომისიამ 21 ოქტომბრამდის უნდა დაასრულოს თავისი მუშაობა და წარუდგინოს თავისი შენიშვნები შეერთებულს კრებას.

✦ გუშინ, 10 ოქტომბერს, სასულიერო სემინარიის რექტორის გერმოგენის და საეპარქიო ზედამხედველის ბ-ნი ტატიშვილის თანა დასწრებით აკურთხეს ამაღლების ეკკლესიასთან ახლად დაარსებული **საეკკლესიო-სამრევლო სკოლა.** კურთხევას ბევრი ხალხი დაესწრო. სკოლა დაარსდა საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს ხარჯზედ.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თაოსნობით, საერო განათლების სამინისტროს შუამდგომლობა აღუძრავს სადაც ჯერ არს იმის შესახებ, რომ გადადებულ იქმნას თანხა ზოგიერთ სახალხო სასწავლებელში **პროფესიონალურ** საგანთა სწავლების მოწყობისათვის.

◆ ამ წლის 1-ლ იანვრიდან 1-ლ ენკენისთვემდე ამიერ კავკასიის რკინის-გზებით სულ გადაუზიდავთ 163.088.261 ფუთი სხვა და სხვა **საქონელი**, დანარჩენ ოთხ თვეში განზრახულია გადაზიდონ სულ 80.911.739 ფუთი. ასე რომ სულ ხსენებულ გზებით ამ წლის განმავლობაში გადაიტანება სულ 244.000.000 ფუთი საქონელი.

◆ თელავის ქალაქის თავი შუამდგომლობს საგუბერნიო მმართველობის წინაშე იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას თელავში **ქსენონი** საქალაქო **ხარჯით**.

◆ ქ. ტფილისში, ოლგას ქუჩაზედ, ორი ხარი აღმოჩენილა **ჭირით** ავადმყოფი. ხარები მაშინვე დახოცეს და დეზინფექცია მოახდინეს.

◆ „ტფ. ფურცელს“ სწერენ გორის მაზრიდან, რომ მშვენიერის ამინდების გამო საზამთროთ დათესილს **პურს** კარგი პირი უჩანსო.

◆ გორის მაზრიდან გვწერენ: ბორჯომის საზოგადოების სოფელ ახალდაბის წმ. გიორგის ეკკლესიის მრევლი შეუდგა **ქვის ეკკლესიის** აშენებას, რომლის საფუძველი კიდევაც ეკურთხა ბორჯომის ბლაღოჩინის მღვდლის მ. იოაკიმე გორგაძის და ადგილობრივი მღვდლის მ. მიხეილ გიორგაძის მიერ ამა ოქტომბრის 8-ს. კურთხევაზე დაესწრო დიდძალი ხალხი, როგორც ადგილობრივი მრევლნი, აგრეთვე მრავალნი რკინის გზის მოსამსახურენი; კურთხევის დროს გრძნობითი სიტყვა წარმოსთქვა ადგილობრივმა ბლაღოჩინმა მ. ი. გირგაძემ.

◆ ტფილისის გუბერნიის ვეტერინარი ბ-ნი მაკაროვი გუშინ ახალქალაქის მაზრაში გაემგზავრა იმ სოფლების დასათვალიერებლად, სადაც ამჟამად **საქონლის ჭირია**.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ ინგლისში არჩევნები დასრულდა და საყურადღებოა, რომ ლიბერალები და კონსერვატორები ერთნაირად კმაყოფილებას აცხადებენ მათ გამო. ორივე დასების რაოდენობა დარჩა იგივე, რაც წინად იყო. ლიბერალთ შეიძინეს სწორედ იმდენივე ადგილი, რამდენიც დაჰკარგეს. სამინისტროს მომხრე გაზეთები აქცევენ ყურადღებას იმ მოვლენას, რომ ლიბერალთ გაიმარჯვეს საგრაფოებსა და სასოფლო ოლქებში, როდესაც კონსერვატორებმა უფრო ქალაქის ოლქებში გამოიჩინეს ძალა, და თხოულობენ, რომ ამ მოვლენის მიზეზები გამოკვლეულ იქმნან. «დეილი მეილ»-ი თხოულობს კაბინეტის ნაწილის შეცვლას და ლორდის ბრესფორდის დანიშვნას ნაცვლად გადამდგარის გოშენისა.

პოლიციის უფროსმა ჰაი-ვაიკამში (დიზრაელის ბინა იყო), მოიგონა ესეთი მოსწრებული ხერხი წესიერების დასაცველად არჩევნების დროს. იმან იცოდა, რომ ხალხი ძლიერ აღელვებული იყო და ამის გამო არეულობაც ადვილი მოსალოდნელი. ამიტომ პოლიციის უფროსმა არჩევნების დროს მოიწვია ერთი დღით კარგ ფასად სამსახურში განსაკუთრებით აგენტებად ყველა, ვინც კი ამ ოლქში ცნობილი იყო, როგორც მოჩხუბარი და აბეზარი. მათ ძალიან გაუხარდათ, დიდის სიამოვნებით მიიღეს ფასი და როგორც კი მოემზადნენ თავიანთ მოვალეობის აღსასრულებლად, მათ უცებ გამოუცხადეს, რომ ისინი მარქაფად იქნებიან და ულაპარაკოდ დაამწყვდიეს პოლიციის სადგომში. დღემ სრულიად მშვიდობიანად ჩაიარა, არავითარი უწესოება არ მომხდარა; შუაღამისას ხელ-დახელ გამომცხვარი პოლიციელნი გამოუშვეს, მისცეს დაპირებული ქირა და გაუშვეს თავ-თავიანთ სახლებში.

∝ ჩემბერლენი წამ და უწუმ ამომრჩეველთა წინაშე სიტყვებს ამბობს. ამ ბოლო დროს ის დიდის მეცადინეობით იცილებს თავიდან ყოველ ეჭვს, რომ ვითომ მას ჰსურდეს გარეშე საქმეთა მინისტრობა, ან ამაზე უფრო მაღალი თანამდებობა, და ეწადოს, რომ ინგლისი თავზე ხელაღებულ პოლიტიკის გზაზე ატაროს. სტოურბრიჯში მან სთქვა შემდეგი:

«სრულებით ტყუილად მახვევენ თავზე სხვა და სხვა ნაირ საწადელს და სურვილს საგარეო პოლიტიკის საქმეში. ეს პოლიტიკა ლორდ სოლსბერის ხელშია, და მე არავითარი სურვილი არა მაქვს ვიქონიო მასზე რამე გავლენა.

ლორდი სოლსბერი ისეთი სახელმწიფო კაცია, რომელსაც ამ ჟამად ევროპაში მეტი გავლენა აქვს, სანამ ყველა სხვა ეხლანდელ პოლიტიკოსებს. უცნაურია, რომ ოპპოზიცია, რომელიც მე მიკიჟინებს მალადობის და მტაცებლობის პოლიტიკას, იმავე დროს ბრალსა სდებს სოლსბერის, რომ რბილად და გაუბედავად იქცევაო. როგორც მე, ისე სოლსბერი სრულიად უდანაშაულონი ვართ».

∝ ავსტრიაშიაც ამ ჟამად ემზადებიან მომავალი არჩევნებისათვის. გაბსბურგების იმპერიის ყველა პროვინციებში დიდ ფაცა-ფუცში არიან. ამის გამო ყოველგან იმართება კრებები, ჰბეჭდავენ მანიფესტებს, გაზეთები სავსეა დანიშნულ კანდიდატების გვარებით და ანგარიშებით შესახებ სხვა და სხვა კრებებისა და სხვა.

∝ გაზეთები ბევრსა სწერენ შესახებ იმ დოკუმენტებისა, რომლებიც იპოვეს ევროპიელებმა ტიანძინის არქივებში და გამოქვეყნებულ იქმნენ ინგლისურ ოფიციოზურ გაზეთ «სტანდარდი»-საგან. ეხლა მათვე შესახებ გაზ. «ბერლინერ ტაგებლატ»-ი შემდეგს სწერს:

შინაარსი ამ დოკუმენტებისა არავითარ ეჭვს აღარა სტოვებს მასზე, რომ ჩინეთის მთავრობა მოქმედებდა მოკრივეებთან ერთად; იგი უხვად შველოდა მათ ფულით. ჩინელი მოხელენი ტიანძინში უკლებლივ სწერდნენ ყველა იმ ფულებს, რომლებიც იხარჯებოდა მოკრივეებზე 12 აგვისტომდე, როდესაც მოკრივეთა ერთ-ერთი მეთაურისათვის მიეცათ 10,000 ტაელი. რაკი წინდაწინვე იცოდნენ, რომ ევროპიელნი ტიანძინს ალყას შემოარტყამდნენ, ამისათვის ჩინელმა მოხელეებმა გამართეს ქალაქის გამგეობის შენობაში ყუმბარებისათვის მიუწდომელი ოთახები და ამის ხარჯიც ხაზინის ანგარიშიდან გასწიეს. ჩინეთის მთავრობას რომ ფული არ ეძლია მოკრივეებისათვის, მათ ფიქრადაც არ მოუვიდოდათ რამე მავნებელი საქციელი ჩაედინათ ევროპიელების წინააღმდეგ. მეფის მოადგილის ხარჯებში ჩაწერილია სხვათა შორის ფულებისაზღაურად მიცემულიმოკლულ ან დაჭრილ მოკრივეების სახლობათათვის და ჯილდონი გენერლებისათვის. «სტანდარდი»-ს ჩამოთვლილი აქვს 54 შემთხვევა ფულის მიცემისა მოკრივეების საჭიროებისათვის. ამავე დოკუმენტებიდან ნათლადა სჩანს, რომ არსებობს აგრეთვე მოკრივე ქალების საზოგადოებაც.

∝ შორეულ-აღმოსავლეთიდან მოსულ უკანასკნელ ცნობებით, კვანტუნის პროვინციის აჯანყებულ მოსახლეთა დამშვიდებაში მონაწილეობას იღებენ ამ ჟამად ჩინეთის იმპერატორის ჯარებიც. ასე, ამ დღეებში ჩინეთის დიდი რაზმა სუმბუქი სამინეკერო არტილერიით წავიდა მეამბოხეების წინააღმდეგ კანტონიდან სამხრეთ აღმოსავლეთით ქალაქ სან-ნინისაკენ, რომელიც მდებარეობს სამხრეთ-ჩინეთის ზღვის პირას შორი-ახლო. მთელი მხარე, სიკიანგის მარჯვენა ნაპირიდან ზღვამდე, ამ ჟამად მოცულია აჯანყებით. ჰონკონგში ინგლისელები ჰკრებენ თავის საზღვაო ძალას. ევროპის საზღვაო რაზმები მოქმედებენ ჰონკონგის ჩრდილოეთით. მიმოსვლაზე ვით ჰონკონგსა, [illegible] და კანტონ შუა ჯერ-ჯერობით უშიშროება სუფევს, [illegible] გემები თავისუფლად ადიან თვით კანტონამდე.

∝ თავიანთ მოქმედებით ჩინეთში ევროპიელებს ჰსურდათ ასე დაეშინებინათ ჩინელები, რომ მათ სამუდამოთ დაჰკარგოდათ ხალისი ბრძოლისა ისეთ ძლიერ მოპირდაპირესთან, როგორიც არის ევროპა. ჩინეთის წარმომადგენელთ ევროპიელ სახელმწიფოთა ჟურნალისტებთან ლაპარაკში არა ერთხელ უთქვამთ, რომ ვება იმპერიაში, გზების სრული უქონლობის გამო შეუძლებელია მთავრობამ თავის ნებით გაავრცელოს რამე განსაზღვრული ცნობანი ან აზრები. არის ადგილები ჩინეთში, სადაც ამ წუთამდე ჯერ არ მისულა ამბავი იაპონიის ომისაც, თუმცა ამის შემდეგ გავიდა თითქმის ექვსი წელიწადი. ლონდონში ეხლა მიუღიათ ერთი დოკუმენტი, რომელიც ყველაზედ კარგად გვიჩვენებს, თუ რამდენად უაზროა მოქმედება ევროპიელებისა, თუ მას მართლა ჩინელების შეშინება აქვს აზრად. ეს დოკუმენტი წარმოადგენს უშნოდ დახატულ სურათებს, რომლებ ქვეშაც დაწერილია შემდეგი განმარტებანი:

რუსეთის ოთხი ჯავშნიანი გემი მოსპო შანჰაი-გუანში გენერალ სუს ნაღმიანმა გემებმა.

გამარჯვება ჩინელებისა ტიანძინში. იაპონელთ, როგორცა სჩანს ამ სურათიდან, ყველაზე მეტი ზარალი მოუვიდათ.

გამაგრება ტიანძინის ფორტებისა. რუსები და ფრანგები დიდის ზარალით უკუქცეულ იქმნენ. ეს სურათი წარმოადგენს ჩვენის დროის უდიდესს გამარჯვებას.

გენერალი ტო მუსრს ადენს უცხოელებს ტაკუსთან ხმელეთსა და ზღვაში. მისი ხერხი ის იყო, რომ მან თავის ჯარს ჩაატკა მეთევზეების ტანისამოსი, მიუახლოვდა მტრებს და ააფეთქა მათი ჯავშნიანი გემები.

∝ ვენელი გაზეთი «პოლიტიშე კორესპონ.»-ის თანამშრომელი აგვიწერს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ევროპიელ დიპლომატთა წრეებში დელკასეს ნოტამ.

გერმანიას და იაპონიას ჯერ არ გამოუგზავნიათ ოფიციალურად პასუხები ამ ნოტისა, მაგრამ საიდუმლოდ კი ორივე ამ სახელმწიფოებმა უკვე გამოსთქვეს ისეთი აზრები, რომლნიც არავითარს ეჭვს აღარ სტოვებენ იმის შესახებ, რომ ისინი ყველა უმთავრესს მუხლებში თანახმანი გაუხდებიან საფრანგეთის მთავრობას. პარიზის მთავრობის წრეებში კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავენ, რომ ცირკულიარული ნოტა გრაფის ბიულოვისა და ნოტა დელკასესი თანაგრძნობით იქმნენ

მიღებული ყველა სახელმწიფოებისაგან და ამით ამ ნოტებმა მკვიდრი ნიადაგი მოუმზადეს შემდეგისათვის სადიპლომატო შრომას; აქედანვე გამოჰყავთ ის დასკვნა, რომ მიუხედავად წვრიმალ უთანხმოებისა, რაიცა მიწერ-მოწერის დროს აღმოჩნდა, ერთობა სახელმწიფოთა შუა უფრო მეტი და მტკიცე ყოფილა, სანამ ეს მოსალოდნელი იყო.

«ნეტარ არიან მორწმუნენი», ასე ათავებს კორესპონდენტი თავის წერილს.

---

## ქალაქის საბჭო.

9 ოქტომბერს საბჭოს კრებაზე ქალაქის თავის თავმჯდომარეობით არჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც უნდა მოაწყოს მესამე სესხის საქმე. კომისიაში არჩეულ იქმნენ კ. მ. ალიხანოვი, ცოვიანოვი, თაიროვი, ა. ფ. ფრიდონოვი და დოლხანოვი.

ხმოსანმა ა. ბაბოვმა საფინანსო კომისიის სახელით საყვედური გამოაცხადა, რომ კომისია არ იქმნა მიწვეული. ამის შესახებ კომისიის წევრმა პ. ალიბეგოვმა ჰსთქვა, რომ მე არ დამივალებია საყვედურის გამოცხადებაო. ქალაქის თავმა კენჭი უყარა კითხვას, მიწვეულ იქმნას საფინანსო კომისიაც თუ არა. ხმის უმეტესობით გადასწყვიტეს — მიიწვიონ კომისიაც.

შემდეგ 1896 წ. ანგარიშის შესახებ სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვას შეუდგნენ და ამისათვის თავმჯდომარედ დაჯდა კ. ალიხანოვი.

საბჭომ მოისმინა ცნობები შესახებ იმ ადგილისა, სადაც ხიდიკელის კიოსკია. გამგეობამ აუხსნა, რომ ის ადგილი ხაზინისაა და რაც მაზე ვალია, უნდა ამოიშალოს. საბჭომ მიიღო ეს წინადადება. შემდეგ წაკითხულ იქმნა სარევიზიო კომისიის შენიშვნები შესახებ 1896 და 1897 წ. ანგარიშებისა. უმეტესი იმ შენიშვნებთაგანი წვრილმანად და უმნიშვნელოდ სცნეს, მოხსენება და განმარტება გამგეობისა საბჭომ მიიღო და 1896 წ. და 1897 წ. ანგარიშები დაამტკიცა.

ორივე კრებაზე ხმოსანთა უმრავლესობამ აღვიარა, რომ სარევიზიო კომისიამ მხოლოდ წვრილმანებს მიანდომა მთელი თავისი ძალ-ღონე.

---

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**10 ოქტომბერი**

**პეტერბურგი.** მემკვიდრე ტახტისა ჩაირიცხა მისი უდიდებულესობის საკუთარ ცხენოსან დარაჯთა სიაში.

**იალტა.** იდღესასწაულეს მისი იმპერატორებითი უდიდებულესობათა მოძღვარის პროტოპრესვიტესის იანიშევის ორმოც და ათი წლის სამსახური.

**ლონდონი.** ვაშინგტონიდან დეპეშით იუწყებიან, რომ მზადდება პასუხი შეერთებულ შტატების იმ ნოტაზე, რომელიც გარდასცა გერმანიის საელჩოს მდივანმა ინგლისისა და გერმანიის შეთანხმების შესახებ. შეერთებული შტატები შეთანხმების ყოველ მუხლზე თანახმანი არიან, გარდა მესამისა, რომელიც, ამერიკის აზრით, გაართულებს საქმის მდგომარეობას, რომელშიაც ამერიკას სრულიად არა ჰსურს მოჰყვეს.

**ბერლინი.** პარიზის გაზეთებმა გამოსთქვეს აზრი, რომ ჩინეთის საქმეებზე ინგლის-გერმანიის შეთანხმებასთან, რომელიც გამოცხადებულია, არსებობს კიდევ საიდუმლო მუხლები. „ნაციონალ ცეიტუნგ“ ამბობს ამის შესახებ: „ჩვენ შეგვიძლიან დავარწმუნოთ, რომ არავითარი საიდუმლო პირობანი არ არსებობენო.“

**ტაკუ.** ფრანგებს პაოტინფუში უჭირავთ სადგური და რკინის გზა და რკინის გზით მიმოდიან დაუსაზღვრად ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ, გზის ბოლომდე. გზების შეკეთებას დაუყოვნებლივ შეუდგებიან.

**პარიზი.** ჩინეთის ელჩმა გარდასცა დელკასეს ჩინეთის იმპერატორის წერილი ლუბესთან, რომელშიაც იმპერატორი ჰსთხოვს პრეზიდენტს შემწეობას მომავალ მშვიდობიანობას შესახებ მოლაპარაკების საქმეში.

**ჰონკონგი.** კანტონიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ აღმოსავლეთის მდინარის მიდამოების გზები, პოლოს ზევით, შეკრულია და ამისათვის იქიდან მოსული ცნობები არეულობის შესახებ ერთი მეორეს ეწინააღმდეგება. ამბობენ, ჩინეთის ჯარები თავდაპირველად მარჯვედ მოქმედობდნენ, მერე კი ორი ბრძოლა წააგესო. საოლქო ქალაქის ხაიჩოუს შესახებ დიდ შიშში არიან. ზოგნი ამბობენ, ხვაიჩოუ უკვე აუღიათო, ზოგნი კი ამტკიცებენ — იმპერატორის ჯარებმა უკანვე ჩამოართვესო. რადგანაც შემდეგ ცნობები აღარ მოსულა, ჰფიქრობენ, რომ პირველი ამბავი უფრო მართალი უნდა იყოს. კანტონის მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელი თუმცა ემუქრება მეამბოხეთ დავსჯითო, მაგრამ მუქარა აღსრულებაში არ მოჰყავს. მის პროკლამაციებს ყურს არავინ უგდებს და გაკვრის უმალ ჰგლეჯენ კედლებიდან.

**მადრიდი.** შესდგა ახალი სამინისტრო აზკარიგას თავმჯდომარეობით.

**კაპშტადტი.** რადგანაც ორანჟეს ბურები თან და თან იწყებენ მოქმედებას, სამხედრო მთავრობამ გადასწყვიტა სასტიკი ზომები მიიღოს მათ მოქმედების მოსასპობად.

**პეტერბურგის ბირჟა 6 ოქტომბ.**

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | — | — | 96⅛ |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 99½ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 96⅞ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 331 |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 281½ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 213¾ |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | 88¼ | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | — | 93¼ |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | 85½ | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | 101½ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 95½ | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | — | 92⅞ |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . | 85½ | — | — |

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

---

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

ხორცი ძროხისა . 1 გ. 8½ კ.
სუკი . . . . . » — 15 კ.
» ცხვრისა . . . . » — 8½ კ.
» ღორისა . . . 1 — 8 კ.
» კამეჩისა » » » — 8 კ.
» ღორის ზარკალი სალორეთი . 1 » — 10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ჯვარი ბეჭედი ადევს, კამეჩს — მწვანე, ღორს — დამღა).
პური ფურნისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » 3½ »
» » III » » » 3 «
იგივე თონისა I » » » 5 »
» » II » » » 4 »
» » III » » » 3½ «
ლავაში ჯვ. მამ. I » » » 6 »
» » II » » » 4 »

---

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა შაიდნებზე: ვოკზალზე:
ხორბალი საუკ. ფუთი. მ. კ. მ. კ.
1 1 30 1 20
ხორ. წითელი. . . 1 1 15 კაპ.
ქერი . . . . . 1—მ.—70 კ.
სიმინდი . . . . 1— 65 ——
ფქვილი სოფლისა. . 1 1 —20—
» უფრო მდარე. 1 1 51—10
კომბოსტო. . . . 1 — 50——
კარტოფილი.. . . 1 — 55——
ხახვი . . . . . . 1 — 30——
თივა . . . . . . 1 — 25——
ბზე. . . . . 1 — 23——

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ სასწყობებში 38 მ., შეშანარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპ-დან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე ხარი შესაბმელი, 40 მ., კამეჩი 60 მ., კამეჩი საკლავი 26 მ.-დან 34 მ.

---


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს რომ ის იჯარით გასცემს ქალაქის ოთხ მაღაზიას, ბაზრის ქუჩის ბოლოს, ალექსანდროვის ბაღთან.

ვისაც ჰსურს იჯარით აიღოს ეს მაღაზიები, უნდა განუცხადოს თავისი პირობები ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში. 6. (3—1)

---

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის და გიორგიევის ქუჩის კუთხეში, იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

**ისტორია, გეოგრაფია და მოგზაურობა**

ალხაზიშვილი ილ. ბუნება და ცხოვრება. 60 კ.
ილნიაშვილი ვლ. სპარსეთი და იქაური ქართველები. 1 მ.
ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველის ტომის დასაწყისზე. 15 კ.
გოგებაშვილი ი. ასპინძის ომი 10 კ.
— თავდადებულნი ქართველნი, სურათებით. 10 კ.
ვახუშტი ბატნიშვილი. გეოგრაფია I წ. სამცხე 25 კ.
— იგ. II წ. ქართლი 25 კ.
ვოდოვოზოვი ე. ინგლისელები. 40 კ.
— იტალიელები. 30 კ.
— გერმანელები. 30 კ.
თაყაიშვილი ე. სამი ისტორიული ქრონიკა. 1 მ.
იოსელიანი პ. ცხოვრება მეფე გიორგი XIII და საქართველოს რუსეთთან შეერთება. 1 მ.
კუდრიავსკი დ. როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად. 25 კ.
ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. 3 მ.
— იგივე წიგნი II. 3 მ.

ურბნელი ნ. მეგლის დედა მეფე გიორგი ბრწყინვალისა. 25 კ.
— გიორგი ბრწყინვალე. 20 კ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი. 40 კ.
— იგ. წიგნი მეორე. 1 მ.
— იგ. „ მესამე. 40 კ.
ჭიჭინაძე ზ. მეფე ერეკლეს და აღა-მაჰმადხანის ომი. 10 კ.
— მეფე ირაკლის გმირები. 15 კ.
ხახანაშვილი ალ. ბატონ-ყმობა საქართველოში. 50 კ.
— გუჯრები. 50 კ.

—

ბენაშვილი ან. მოკლე ქართული გრამატიკა, უდით. 25 კ.
ყიფიანი დ. ახალი ქართული გრამატიკა. 1 მ. 20 კ.

—

ორბელიანი საბა-სულხან. ქართული ლექსიკონი. 3 მან.
სახოკია თ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. 20 კ.

—

ყიფიანი ვ. ალგებრა. 1 მ. 20 კ.
ჯაჯანაშვილი რ. კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა 25 კ.

სამეცნიერო წიგნები.

ბ. ს. შრომა და კაპიტალი. 20 კ.
გოლოვინი ს. დარიგება მხედველობის დაცვისა და თვალების მოვლაზე. 10 კ.
გოგებაშვილი ი. მოსავლის მცველნი, სურათებით. 20 კ.
დედამიწის მოყვანილობა—10 კ.
ერისთავი დ. ხოლერა და მისი ასაცდენი დარიგებანი. 10 კ.
იოსელიანი გ. ლოღიკა. 15 კ.
ივანოვი ალ. ცა და დედამიწა. 20 კ.
ლენტის მსგავსი ჭიები 5 კ.
კომბი. ბავშვების მოვლა 40 კ.
მირიანაშვილი ალ. ჭვავი და მისი მნიშვნელობა. 15 კ.
მოწაფის ჰიგიენა 3 კ.
მასსე. ლუკმა პურის ამბავი 60 კ.
რუბაკინი. ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით. 50 კ.
როსკო. პროფესორი. ქიმია 40 კ.
როგორ საზრდობს მცენარე, გადმოკეთებული. 25 კ.
სპერანსკი. ცუდი სენი, ანუ ათაშანგი. 5 კ.
ხუსკივაძე თ. შვილების აღზრდა, პედაგოგიური წერილები. 20 კ.

—

დარეჯანაშვილი არ. საბოსტნე მცენარების მოყვანა. 20 კ.
ჯორჯაძე ლ. მევენახეობა და ღვინის დაყენება. 60 კ.

სახელმძღვანელო წიგნები:

ალნიაშვილი ვლ. «ხან», ხალხური ლექსები. 10 კ.
— «გან», წვრილი ამბები. 10 კ.
— «დონ», წვრილი ამბები. 10 კ.
— «ვინ», პაწაწა მინერალოგია 15 კ.
— «ზენ», პაწაწა ბოტანიკა. 20
— «თან», პაწაწა ზოოლოგია. 20 კ.
ისარლოვი ლ. კათოლიკენი საქართველოში. 15 კ.
იზაშვილი პ. ქართველი კათოლიკენი. 10 კ.
კარლ-კაუტსკი. ჩვენი დროის კრიზისება. 10 კ.
მამაცაშვილი ქრ. დრო არის საქმეს შევუდგეთ. 20 კ.
ჩვენ ქალებს. ქ-ნ შტარის წერილები. 20 კ.

კაზმული სიტყვიერება:

აბაშიძე ვ. ტასიკო, დრამატიული ეტიუდი. 10 კ.
ბარათაშვილი ნ. ლექსები 40 კ.
ბურჟე პოლ. ცოდვა სიყვარულისა. 70 კ.
გაბაშვილი ეკატ. სურათები გლეხკაცის ცხოვრებიდან 10 კ.
გუნია ვ. მარინე. ისტ. მოთხრობა გადმოკ. 30 კ.
გურიელი მამია. თხზულებანი (ლექსები და პოემები). 1 მ.
გელოვანი ქ. ლექსები. 15 კ.
გულისაშვილი ი. ორი პიესა. 50 კ.
გეტე. რეინეკე მელა, სურათებით. 50 კ.
გვარამაძე მღ. ივ. წამება მიხეილ გობრონისა, ლექსად. 10 კ.
დილარიანი. 25 კ.
დუტუ მეგრელი. ცრემლები 25 კ.
დე-ამიჩი. დედა-შვილის თავ-გადასავალი 15 კ.
ეჟი. განთიადი. 1 მ.
ერვიე პოლ. ბრჭყალებში, დრამა. 30 კ.
ერისთავი გ. თხზულებანი, სურათით 1 მ. 60 კ.
ევდოშვილი ი. ლექსები და პოემები. 25 კ.
ერკმან-შატრიანი. გლეხი კაცის ისტორია I ნაწ. 60 კ., II ნაწ. 60 კ., III და IV 1 მ. 20 კ. კარგ ქაღალდზე თითო ნაწ. 15 კ. ემატება.
ველისციხელი. ნ. საგულისხმიერო აზრები შილლერიდან. 5 კ.
— საგულისხმიერო აზრები ვეფხის-ტყაოსნიდან. 10 კ.
იანქოშვილი მ. ციცინათელა. 25 კ.
ივანე ბატონიშვილი. კალმასობა. 1 მ.
იკოთელი ილ. სამნი ბრძენნი. 20 კ.
იოსელიანი გ. ვეფხის-ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყმაწვილებისათვის, სურათებით. 20 კ.
კარიჭაშვილი დ. სამი მსხვერპლი, მოთხრობა. 30 კ.
კეთილი მადლი. 10 კ.
ლერმონტოვი მ. მწირი, პოემა 10 კ.
— ორშა, პოემა. 10 კ.
— დემონი. 10 კ.
მაჩხანელი დ. მძური სიტყვა. 25 კ.
ნინოშვილი ე. პარტახი. 20 კ.
ნადირაძე ილ. ზაქარია კეთილაძე. 10 კ.
ნიკიტინი ალ. კრებული მოთხრობებისა. 15 კ.
ორბელიანი ვ. ლექსები. 60 კ.
პატაპენკო ი. ნამდვილი სამსახური, მოთხრობა. 40 კ.
ქანა დარკი. მოთხრობა. 5 კ.
რამას განდევნა, პოემიდან «რამაანი», გერმანულიდან 40 კ.
რუბაკინი. ორი ეტიუდი, «ქალაქის მამებელნი» და «პირის-პირ». 20 კ.
გოგებაშვილი ი. დედა-ენა უდ. 40 კ.
— ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, უდით. 80 კ.
— ხომლი, ლექსთა კრება 30 კ.
— Русское слово ნაწ. 1 უდ. 40 კ.
— Русское слово ნაწ. II უდ. 50 კ.
გაბიჩვაძე ვ. დედანი. 20 კ.
მდივანოვი ს. თვით მასწავლებელი ქართულისა და რუსულის ენისა. 50 კ.
ნასიძემ. Учебникъ грузинскаго языка для русскихъ. 50 კ.
ქუთათელაძე არ. წყარო 40 კ.
ჯაჯანაშვილი რ. მეგობარი 35 კ.

საყმაწვილო წიგნები:

ავენარიუსი. ზანჯვლიანი ფუტკრის ამბავი. 15 კ.
ასათიანი თ. საყმაწვილო ამბები. 10 კ.
ანდერსენი. ზღაპრები 1 წიგნი. 10 კ.
— გედები. 10 კ.
ბარნოვი. საკვირველი ხე 3 კ.
გაბაშვილი ეკ. საყმაწვილო მოთხრობები. 30 კ.
გოგებაშვილი ი. ხატის მიზეზი. 5 კ.
თუამანიშვილი ან. ხატური, მოთხრობა სურათებით. 10 კ.
ტატიშვილი გრ. ხუმარა სპილოკაბი, სურათებით. 10 კ.
აკაკი. საყმაწვილო ამბები. 40 კ.
ცისე. თარგ. 5 კ.
ჩხუბი ერთი კვერცხისათვის. 3 კ.

—

სვანური ზღაპრები. 30 კ.

კრიტიკა, ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფია:

თ. ი. ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა. 20 კ.
მკითხველის შენიშვნები. ჩატეხილი ხიდი «ოთარაანთ» ქვრივის ი. ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ. 15 კ.
ნაზოლარა ფ. «ივერია» და «მეველე».
საბერძნეთის ბრძენი დიოგენი 10 კ.
სტეფენსონი—რკინის გზის გამომგონელი. 5 კ.
სახსოვრად ქართულ თეატრის 50 წ. არსებობის დღესასწაულისა. 20 კ.
ქართველი მკითხველი. საუცხოო ნიმუშები ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული ნაწარმოებისა. 15 კ.
ჭიჭინაძე ზ. ქართული მწერლობა მე XII საუკუნეში. 25 კ.
— ქართული მწერლობა მე-XIII-ე XVI საუკუნოებში. 25 კ.
— ქართული მწერლობა მე-XII საუკუნეში. 20 კ.
— შოთა რუსთაველი. 30 კ.
— პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში. 20 კ.
— აკაკი წერეთელი. 15 კ.
— ილ. ჭავჭავაძე. 20 კ.
— გ. ორბელიანი. 20 კ.
— ტულუზაანთ დავითა და უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღ. 25 კ.
ყიფიანი ნ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება 50 კ.

პუბლიცისტიკა:

გოგებაშვილი ი. ძირითადი უკუღმართობა. 20 კ.
სოლომონ მსაჯული—ქოლგა ირაკლი მეორისა. 5 კ.
ტოლსტოი ლ. სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ სუფევს 5.
ფურცელაძე ან. ლექსები და პოემები. 40.
— მარანდა, პოემა. 20 კ.
— წყალობა, პოემა. 20 კ.
— მაღი ხვიტია, რომანი. 40 კ.
— ავაზაკნი. 30 კ.
— სამი პოემა. 40 კ.
— შოთა და მისი ცოლი 10 კ.
ქართველ ქალთა ნათარგმნი მოთხრობები I წ. 40.
ქალები, თ. სახოკიასი. 20 კ.
ყაზბეგი იური. სამშობლოსათვის თავდადება. 5 კ.
შექსპირი. ოტელო. 50 კ.
— მაკბეტი. 40 კ.
— რიჩარდ მესამე. 40 კ.
— იულიოს კეისარი. 30 კ.
შილლერი. ვილჰელმ ტელი. 15 კ.
ცახელი. ზარნაშო, პოემა. 15 კ.
— გურგენ რაინდი, პოემა 30 კ.
ცშოკე. ოქროს მოყვარულები. 15 კ.
აკაკი. სამ-გვარი სიყვარული. 30 კ.
— ანდრია პირველი წოდებული პოემა. 5 კ.
— თორნიკე ერისთავი პოემა. 1 მ.
წერეთელი გ. ლომ-კაცი პოემა. 60 კ.
წითლიძე ა. ძმა ძმის მტერი. 10 კ.
წულაძე ლ. ზანგის სამკვიდრო. 10 კ.
ჭონქაძე დ. სურამის ციხე 25 კ.
ჭიჭინაძე ზ. ჭონის შეგირდი. 7 კ.
ხონელი მ. ამირან-დარეჯანიანი. 1 მ.
ჯიაკომეტი. ივდითი, ტრაგედია 30 კ.

—

ქორიძე ფ. სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის. 60 კ.
რატილი ი. ალილო, შიგნით კახეთის კილო ნოტებზე გადაღებული. 50 კ.

—

ეფიმერტე. ქართულად თარგ. 1 მ.
მირაქოვი. ნაპერწკალი, ნაწყვეტები და მოსწრებული სიტყვები. 20 კ.
დადიანი ნ. საამდროვო გამოცანები 15 კ.
ტარუაშვილი გოტიგური ანბანი 5 კ.

სურათები

თოიძე მ. ერისთავი რაფიელ. 20 კ.
— იგივე. კარგს ქაღალდზე 30 კ.
— ნინოშვილი ეგნატე. 15 კ.
— იგივე. კარგ. ქაღალდზე. 25 კ.
— რუსთაველი შოთა. 20 კ.
— ჭავჭავაძე ილია. 25 კ.
— მეფე ერეკლე. 20 კ.
— იგ. კარგ ქაღალდზე 25 კ.

პროვინციაში მცხოვრებთ წიგნები ფას დადებით შეუძლიანთ გაიწერონ, მხოლოდ წიგნების ფასის 25% (პროცენტი) წინათვე უნდა გამოგზავნონ.

წიგნების დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Октября 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განჯის დიდი ქუჩა, № 27.